№ 110 მაისი 27, პარასკევი 1888 მაისი 27, პარასკევი № 110

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

რადგან 20 მაისისათვის დანიშნულს წლიურ საერთო კრებაზე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა» კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოვიდა და ამის გამო კრება ვერ შესდგა, ამიტომ, თანხმად საზოგადოების წესდების მე-15 §-ისა, ხელმეორედ არის დანიშნული წლიური საერთო კრება წევრთა აღნიშნულის საზოგადოებისა კვირას, 29 მაისისათვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრებისა;

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—2)

ტფილისი, 26 მაისი

გუშინ ვლაპარაკობდით იმ ახალის წესებზე, რომლებიც გერმანიამ შემოიღო ელზას-ლოთრინგში საფრანგეთის ქვეშევრდომთა შესავიწროებლად და საფრანგეთის სახელისა და გავლენის შესამცირებლად. დიდი ხანია გერმანია ამასა სცდილობდა, მაგრამ დღევანდელივით არასოდეს არ გამოუჩენია ამ მხრივ ის გულ-მოდგინება, როგორითაც ეხლა მოქმედობს. ამის საბუთი ის არის, რომ ამას წინად მთავარ-მმართებლად ელზას-ლოთრინგისა იყო თავადი გოგენლოე, რომელიც ბისმარკის პოლიტიკის მოწინააღმდეგეა და მისდამი რწმუნებულს პროვინციაში უფრო მშვიდობიანს პოლიტიკას მისდევდა. ეხლა-კი გოგენლოე ჩამოვიდა ბერლინში და მთავრობას მოახსენა მთელი ვითარება იმ ბედკრულის პროვინციისა. ამასთანავე იმასაც ამბობენ, ვითომ გოგენლოე სტოვებს ელზას-ლოთრინგში სამსახურსაო. ეს ამბავი თუ მართალია, იმის მაჩვენებელია, რომ ბისმარკის პოლიტიკა თან-და-თან ძლიერდება და თავისას გაიტანს, თუ რომ გზაზე რომელიმე ძლიერი გარემოება არ გადაეღობა.

ყოველივე ეს გვიმტკიცებს, თუ რამდენად მწვავდება დღითი დღე გერმანიასა და საფრანგეთს შორის განწყობილება. მშვიდობიანობის ნიავი, რომელმაც ამას წინად დაჰბერა ევროპაში, მზად არის შეიცვალოს ძლიერის ქარიშხლით. გერმანიის მწერლობა მუდმივ დღე ჰკიცხავს საფრანგეთს და ამბობს, რომ საფრანგეთი, განმსჭვალული გერმანიისადმი სიძულვილით, გულმოდგინედ ემზადება გერმანიასთან საომრადაო. ერთის სიტყვით, გერმანიას ძალიანა სწყინს, როცა მისი მოპირდაპირე იმავე გზას ადგას, რომლითაც თვით გერმანია მსვლელობს. დიდი აყალმაყალი გამოუწვევია გერმანიაში ამბავს იმის შესახებ, ვითომ საფრანგეთი პირობით შეეკრა ამერიკელს სანავოსნო საზოგადოებას, რომელსაც დიდ-ძალი გემები ჰყავს ატლანტის ოკეანეში. ამბობენ, ვითომ ამ ხელშეკრულობის ძალით როცა-კი საჭიროება მოითხოვს, საზოგადოებამ საფრანგეთს უნდა დაუთმოს ყველა გემები, რომლებიც ჰავრსა და ნიუიორკს შუა მოგზაურობენ. როცა საფრანგეთი მოითხოვს, საზოგადოებამ ყველა გემები საომარს ფეხზე უნდა დააყენოს, საჭირო იარაღი და მოწყობილება მოუმზადოს და ისე უნდა ჩააბაროს საფრანგეთსა. ჰავრში ამ ჟამად მოქმედობს კომისია, რომელსაც სჯა და ბაასი აქვს იმ გემების გადაკეთებასა და შეიარაღებაზე. ეს ამბავი თუ მართალი გამოდგა, დიდადაც გულ-საკლავია გერმანიისათვის, რადგანაც საფრანგეთს უიმისოდაც ძლიერი ჯარი და ფლოტი ჰყავს, რომელიც გერმანიისას არაფრით არ ჩამოუვარდება.

სხვა სახელმწიფოებიც მუდმივ მხედრობასა და თოფ-იარაღზე ზრუნავენ. გაზეთი „Nord“-ი ამბობს, რომ „ავსტრია ყველაზე უფრო აშფოთებს ევროპას თავისის მზადებითაო. ეს რამდენიმე თთვეა, რაც ავსტრია აძლიერებს თავისს ჯარებს და ამზადებს ახალს თოფიარაღს. ამ დღეებში გრაფ კალნოკიმ მოსთხოვა დელეგაციებს სამოცი ათასი გულდენი მხედრობისათვის. ასე მოქმედობენ გერმანია და ავსტრია და თუ რუსეთმა რომელიმე თავისი ჯარი ერთის ადგილიდგან მეორეზე გადაიყვანა, იმ წამსვე ბერლინსა, ვენასა და პეშტში ყველას თავზე თმა აეშლება ხოლმე და გაიძახიან, ვითომ რუსეთი მშვიდობიანობის დარღვევას აპირებსო“.

ოსმალეთის პოლიტიკა და მდგომარეობა ხომ მუდმივ საეჭვო და გაჭირებულია. ეს ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც საშუალება და ღონე არა აქვს საკუთარის მოსაზრებისა და ინტერესის მიხედვით იმოქმედოს. იმისი პოლიტიკა ყოველთვის სხვისაზეა დამოკიდებული. ეხლა ოსმალეთმა არ იცის, თუ ვის მიემხროს— რუსეთსა თუ ინგლისს; არ იცის, რომლის პოლიტიკას დაუმორჩილდეს? დღემდე ინგლისი თითქმის სრული გამგებელი იყო ოსმალეთის ავ-კარგიანობისა და ოსმალეთიც ინგლისისაკენ მიიზიდებოდა, მაგრამ დღეს-კი თვით ოსმალეთის მმართებლობა ოფიციოზურის გაზეთის პირით სულ სხვას ამბობს. გაზეთი სჩივის, „ინგლისი ზღვასა და ხმელეთზე იმდენად უძლურია, რომ არ შეუძლიან ოსმალეთს გამოესარჩლოს. დღემდის თუმცა ოსმალეთი ინგლისის ერთგული იყო, მაგრამ ინგლისს არა გაუკეთებია-რა ოსმალეთისათვის და ამიტომაც ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ინგლისის მეგობრობაზეო“. ამ გვარმა საჩივარმა ინგლისში დიდი ლაპარაკი ასტეხა, მაგრამ ინგლისი ჰფიქრობს, რომ ამ საჩივრით ოსმალეთის მმართებლობას უნდა ინგლისი აიძულოს ეხლავე ოსმალეთს მხარი მისცეს; თუ ეს ასე არ მოხდა და ინგლისმა ყურადღება არ ათხოვა ოსმალეთის საჩივარს, მაშინ ოსმალეთი იძულებული იქნება რუსეთს მიემხროსო.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში ბ-ნს გრიქუროვს, წიგნების მაღაზიის პატრონს, უწმინდესის სინოდიდგან მოსვლია ოფიციალური ქაღალდი, 12 მაისიდგან მე-2594 ნომრითა. ბ გრიქუროვს სთხოვენ შეგვატყობინე, რა ფასად ჰყიდით გოგებაშვილის წიგნებსაო: „დედა-ენასა“, „კონასა“ და „ბუნების კარსაო“; ეს სახელმძღვანელოები გვინდა მოვიპოვოთ სამეგრელოს და გორის სასულიერო სასწავლებლებისათვისაო. ქაღალდში ნახსენებია აგრეთვე ზოგიერთი საეკკლესიო წიგნები ქართულს ენაზედ და ჩუბინოვის რუსულ-ქართული ლექსიკონები. ეს ამბავი ბევრის მხრით არის შესანიშნავი. ჯერ ერთი ესა, რომ არც ხსენებულის წიგნების ავტორსა და არც იმათს გამომცემელს სინოდისათვის არ უთხოვნიათ, სახელმძღვანელოდ აღია-

ფელეტონი

მამიდა ასმათი

ამბავი.

ვუძღვნი ციცინათელას.

(შემდეგი*)

XI

კვირა დილა გათენდა. ასმათი ადრიანათ წამოდგა. იმ დღეს წირვაზე ემზადებოდა და ნათელაც უნდოდა თან წაეყვანა. ჩაიცვა წითელი კაბა, ჭრელი ლაზლის წინდები, ზედ ახალი ნაყიდი ჩუსტები მოარგო და თავზე თეთრი სახიანი ბადიადი მოახვია. მაგრამ ვინ იცის, იქნება ამ დილას ჩემი რძალიც გაჩნდესო—ფიქრობდა გულში და რაღაც სიამოვნებით იცქირებოდა ჰისკრისკენ,—სისხლმა და ხორცმა თავის ალღო აიღო, გულმა იფეთქა დაკარგული გულისთვის.

— არაო, ეუბნებოდა ასმათს მეორე გული: როსაფს ეგრე ადვილათ ნათესაობრივი გრძნობა ვერ მოდრეკსო. რომ კიდეც სურვილი ჰქონოდა ჩემს რძალს ჩემი ნახვისა, განა ჩემი კერპი ძმა-კი გაჰოუშვებდა. მეც რაებს ვფიქრობ! სულ გავყმაწვილდი ამ სიბერის დროს. თუმცა ასმათი ამისთანა მოსაზრებაში იყო გართული, მაგრამ თვალი მაინც ჰისკრისკენ ეჭირა. ხან ადგებოდა, ეზოში მიიელმოიელიდა, ხან გამდელს რამეებს უშარებდა. ერთი სიტყვით, ყოველ ნაირს მიზეზს ეძებდა, რომ შეეგვიანებინა წირვაზე წასვლა. ნათელას სულ სხვა დარდი აწვა გულზე.

— მამიდა, წირვაზე წასვლა დაგვაგვიანდა!—იმას უნდოდა საჩქაროთ საყდარზე გასულიყო და ტოლ-ამხანაგებისათვის ეჩვენებინა თავისი ლამაზი მორთულობა.

— რა გეჩქარება, შვილო, ჯერ არ დაურეკიათ.

— როგორ არა, ბარე ორჯერაც დარეკეს.

— ცოტა კიდევ მოვიცადოთ, შვილო, საქმე მაქვს.

— უჰ, ამდენი მოცდაც არ გამიგონია. თუ წირვა გამოვა, მერე რაღა გვინდა საყდარზე!

ამ დროს ჰიშკარში შემოვიდა სამი ცხენოსანი—ერთი ქალი და ორი კაცი, მისი ხლებული.

— ნეტა თუ მართლა ეს ჩემი რძალიაო!—გაიელვა გულში ასმათმა და აჩქარებით გასწია ოდისკენ.

— ნათელა, სტუმრები მოდიან. იქნება ბიცოლაშენიც იყოს. საყდარზე ველარ წავალთ.

— არა, მამიდა, მე მაინც წავალ და მაინც...

ამ დროს მისი რძალი ორი ცხენოსნიანა კიბეს მოადგენ.

ასმათი სიხარულისაგან გაფოკდა, ბიჭს უყვირა, ცხენები ჩამოართვითო; თვითონ ჩამოეგება კიბეზე, რძალს გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— მობძანდი, გენაცვალე. ეს რა კარგი დღე გამითენდა? ამდენის ხნის თქვენს უნახავს რა სული შემრჩა, როგორ გავძელი ამ ჩემს მინგრეულ-მონგრეულს ქოხში. მობძანდი, ჩემო რძალო, აგერ სავარძელზე დაბრძანდი.

ნათელა იქვე იდგა, წირვაზე წასასვლელად გამოწყობილი.

— უი, ამას ვის ვხედავ!—გაიოცა მზეხათუნმა, როცა შეხედა ნათელას, რომელსაც დიდ-ძალი ტანი აეყარა მას აქეთ, რაც მზეხათუნს არ ენახა. თვალ-წარბზარი ნათელა ახალ ტანისამოსში სასიამოვნო შესახედავი იყო. მის რგვალ პირს შვენივრად უხდებოდა შუბლზე დაყრილი წაბლის ფერი ხუჭუჭი თმა.

— ჩემი ლამაზი გოგონა, როგორ გაზდილა! გამოგოგმანებულა, ავი თვალით არ ინახება, ჯვარი დაგწერა ბიცოლაშენმა! თან ამისთანა ალერსიანს სიტყვებს ეუბნებოდა, თან იხუტებდა და ჰკოცნიდა.

— აბა, გენაცვალე, ჯადექი განზე, ერთი კიდევ შემოგხედო. ნათელა ადგა, მორცხობით თვალები ძირს დახარა და ისე გაიარა.

— გასათხოვარი შექნილა, ჩემი გოგონა! ვინ იქნება მისთანა ახალგაზდა, რომ შენ საცოლოდ დაგიწუნოს! ამ სიტყვებით მზეხათუნმა თვალები გაპარა იმის ხლებულის ახალგაზდა კაცისკენ. იმან თითქოს იგრძნოო მზეხათუნის გულის-პასუხი, სახე განზე წაიღო და თვალები მოარიდა. ის იყო ოც-და-ხუთის წლის მოხდენილი ვაჟკაცი. შავი წვერი მის თეთრ-ყირმიზს სახეს არშიასავით ჰქონდა შემოვლებული და შავი კოკობი ულვაშები ლამაზად უხდებოდა.

ნათელა უცებ მივარდა მამიდას და ჩუმათ უსაყვედურა.

— წირვა კიდეც გამოვა აწ? როდის უნდა წავიდეთ.

— რა დროს წასვლაა, გენაცვალე, ბიცოლა მოგივიდა!

— არა, არა,—იუარა ნათელამ წარბების შეჭმუხვნით:—უნდა წავიდე წირვაზე, უნდა წავიდე...

— ნათელა, შენ ხომ არ იცი მე რა გაპრიალებული პოლსაპოჟკები მოგიტანე, მაღალ ქუსლებიანი?.. უთხრა მზეხათუნმა. ივანე!—მიუბრუნდა მოურავს, რომელსაც ცხენები ეჭირა.—ფუთა ამომიღე ხურჯინიდან და აქ მომიტანე.

— უი, ჩემს თვალებს!—დაიძახა ასმათმა.—ჩვენი ივანე-კი ველარ ვიცანი! როგორ ხარ, ჩემო ივანე, ან შენი ცოლ-შვილი რასა იქს?..

— ღმერთმა თქვენი სიცოცხლე ნუ მომაკლოს. კარგათ გახლავართ. დაგვიძვირდით, ქალბატონო. რამდენი ხანია, მამის თქვენის ოჯახში არ მობძანებულხართ. როგორ გეკადრებათ ოჯახის დავიწყება?

— ალბათ ჩემს ძმას არ ნებავდა.

— მაგას როგორ ბძანებ, ქალბატონო? როსავი ნუ მომიკვდება, ბევრჯელ უთქვამს, ნეტა რა დავუშავე ჩემს დას, რომ აღარ გამიტანაო?

— ბევრი, ჩემო ივანე, ბევრი, თორემ შენც კარგათ გეცოდინება...

— უკაცრავათ, ჩემო ბატონო!—მიუბრუნდა ასმათი იმ ახალგაზდას, რომელიც აქამდის ფეხზე იდგა და ნათელას ჩუმ-ჩუმათ თვალებს ესროდა:—ისე გამახარა ჩემის რძლის ნახვამ, რომ გონება ველარ მოვიკრიფე. დაბრძანდით, შენი ჭირიმე, ამ სკამზე.

— არა მიშავს-რა, ბატონო!—თავმდაბლათ მიუგო ვაჟკაცმა, ჩამოართვა სკამი ასმათს და დაჯდა.

— ჩემო მულო, იქნება არ იცნობ ჩემს ძმისწულს ილიკოს?

— აბა, სად გავიცნობდი, გენაცვალე,—უპასუხა ასმათმა.

---

*) იხ. „ივერია“ №№ 101, 104, 106 და 109.

რეთო. სინოდს თვითონ, თავის თავად უზრუნია და უნებებია მათი გასინჯვა, რასაკვირველია, მცოდნე კაცების შუამავლობით და ულიარებია სახელმძღვანელოებად. მეორედ ისაა საყურადღებო, რომ ქართულს სასულიერო სასწავლებლებს ადგილობრივ სახსარი აქვსთ საჭირო წიგნების მოსაპოვებლად და ამიტომ უმაღლესს სასულიერო მთავრობას წინად არასოდეს არ მოუხმარებია თავისი საკუთარი ფული ქართულის ენის სახელმძღვანელოებზე. ყველაზედ-კი შესანიშნავი ის არის, რომ, წინააღმდეგ ზოგიერთ კაცთა ცდილობისა, რომ სამეგრელოდგან გამოძევებული იქმნას ქართული ენა, უწმინდესს სინოდს იმდენად საჭიროდ მიაჩნია ამ ენის წარმატება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომ ამ სასწავლებლისათვის საკუთარის ფულით ყიდულობს ქართულს სახელმძღვანელოებსა და სხვა ქართულს წიგნებს...

⁂ გუშინ-წინ, 25 მაისს, დიდის ხნის ლოდინის შემდეგ წარმოადგინეს ბანკის თეატრში ფეერია „ყარამანი“, გადაკეთებული სასცენოდ ბ-ნ ალნიაშვილის მიერ. ფეერია 11 სურათად იყო და, თუ არა ვსცდებით, რამდენიმე სურათი გამოსტოვეს გუშინ-წინ; იმიტომ თუ გამოსტოვეს, რომ თითოეულის სურათის მოწყობასა და წარმოდგენას დიდხანს უნდებოდნენ და ვიდრე სულ გაათავებდნენ წარმოდგენას, შეიძლებოდა თავს დასთენებოდა საზოგადოებას.

შინაარსი ფეერიისა იგივე იყო, რაც თვით ზღაპარშია მოთხრობილი, მაგრამ სასცენოდ გადაკეთებულს ყარამანიანს დაჰკარგოდა ის ხალისი და ინტერესი, რომელიც აქვს კითხვაში. ჩვენის აზრით, სასცენოდ გადაკეთებულს ფეერიაში ძნელი არ უნდა იყოს იმ ხალისისა და ინტერესის დაცვა, რომელიც ყარამანიანსა აქვს და რომელსაც ალტაცებაში მოჰყავს მკითხველი, მეტადრე მდაბიო მკითხველი.

რაიცა შეეხება თვით მოწყობას ფეერიისას, დეკორაციებს და ტანსაცმელებს, ამ მხრივ დიდი მრავალ ფერობა სჩანდა. დეკორაციები კარგი იყო, ზოგიერთს კოსტიუმებსაც არა უშავდა-რა. უფრო კარგი-კი იქმნებოდა, რომ მეტის სინამდვილით და ისტორიულის სისწორით გამოსულიყვნენ წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა ისტორიულად ცნობილის ერისანი, მაგალითად, ჩინელნი, ინდოელნი და სხვანი. ჩინელებს არა ჰქონდათ თავი მოპარსული და გრძელი ობოლი ნაწნავი, რომელიც კოჭებამდინა სცემს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ფეერიას მცირეოდენი მნიშვნელობა ჰქონდეს მაყურებელთა თვალთა ხედვის განვრცელებისათვის და საზღაპრო, სასაცილო სცენებს მით მცირეოდენი აზრი მიეცეს. ჩვენის აზრით, ფეერიაში თავიდამ ბოლომდინ რომ ერთი აზრი იყოს, ისეთი აზრი, რომლის გამორკვევა ხალისსა და ინტერესს იწვევდეს, ეს კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა.

თვით წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. ის იმოდენა ხალხი სცენაზე თავ-თავის დროზე შედიოდ-გამოდიოდა, მწყობრად და დალაგებით მოძრაობდა და ილიუზიას სცენისას ცოტად თუ ბევრად იცავდა. ეტყობოდა, რომ ყველანი გამოცდილს, დახელოვნებულს და მარჯვე კაცს ეწვრთნა. ფეერიის წარმოდგენაში ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს: იქ, საცა ტყიანი მთები სკდება, ინგრევა, ცეცხლის წვიმა მოდის და თოვლი ჩნდება, ექვს-ფეხიანი რაში დარბის და ცხვირის ნესტოებიდამ ცეცხლს აფრქვევს, საცა ორმოცი და სამოცი კაცი ერთად მოძრაობს, ან დგას, თითოეული თავ-თავის ალაგას, —ყოველივე დამოკიდებულია დახელოვნებულსა და გამოცდილს გამგეზედ. ასეთი გამოცდილი გამგე იყო იმ საღამოს ბ-ნი ვ. აბაშიძე. ფეერია რომ სულ უაზრო არა ყოფილიყო, საზოგადოება ბევრს ისიამოვნებდა სცენის მრავალ ფერისა და მდიდრულის მორთულობით და მოწყობილობით, აპრელებულის კოსტიუმების სიმრავლით. საზოგადოებას მოეწონა ბ-ნ ბალანჩივაძისაგან მუსიკისათვის დაწერილი პიესები და მოტივები, რომელსაც ორკესტრი უკრავდა იმ საღამოს. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო. სრული შემოსავალი იყო. ბევრი უკან დაბრუნდა, რაკი ბილეთები ველარ იშოვნეს. წრევანდელს სეზონში, ვგონებთ, პირველად გაივსო ხალხით ახალი ქართული თეატრი გუშინ-წინ ღამ. ყარამანიანის დევებმა და ვაჟკაცებმა ძლივს გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოება და დასძრა ადგილიდამ. სულ არარაობაში ესეც კარგი ყაიმათია!

⁂ ამ მოკლე ხანში დანიშნული იქნება საერთო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. დღეს ამ კრებისათვის დაჰნიშნავს იმისი პრეზიდენტი, თ. დონდუკოვ-კარსაკოვი თავის დროზე ვაცნობებთ მკითხველებს, რა დღეს დაინიშნება ეს კრება და რა საგნები იქნება განსახილველი.

⁂ ზოგიერთი ხელის-მომწერლები სჩივიან, რომ „ივერია“ თავის დროზე არ მოგვდისო და დიდ-ძალი ნომრები გვეკარგებაო, ჩვენი გაზეთები ხან ვის მოაქვს და ხან ვისაო. ამისთანა საჩივრები ამ უკანასკნელს ხანებში ჩვენ მოგვივიდა თიანეთის მაზრიდგან და სამტრედიიდგან. ზოგს ხელის-მომწერს ჰგონია, რომ ამ გვარს შემთხვევაში პასუხი რედაქციამ უნდა აგოს. კიდევ ვაცხადებთ, რომ რედაქცია გაზეთებს ყოველთვის თავისს დროზე ჰგზავნის იმ ადრესით, რომელსაც ხელის-მომწერლები რედაქციას აცნობებენ. და თუ გაზეთის ნომრები იკარგება, ეს სრულიად რედაქციის ბრალი არ არის, არამედ ფოსტისა, რომელიც მოვალეა გაზეთი იმას გადასცეს, ვის სახელობაზედაც იგზავნება.

⁂ გორი: გუშინ ღამ საშინელი ავდარი იყო ჩვენში. რვა საათიდამ დაწყებული შუაღამემდის არ შეწყვეტილა გულის შემხუთავი ჭექა-ქუხილი და კოკა პირული შხაპუნა წვიმა. დღეს დილით გამოგვეღვიძა და ის თქვენ მტერსაც აშოროს ღმერთმა, რაც წმინდა წყლის მთელს უბანს მოუვიდა. ამ ნაწილს გორისას დასავლეთით ჩამოუდის ლიახვი და აღმოსავლეთით ფშანი. გუშინდელი წვიმის გამო ეს მდინარეები მოდიდნენ, გადმოვიდნენ ნაპირებიდამ და ყოველ მხრივ შემოურბინეს ზემოხსენებულ უბანს. კარგა ხანს ვერც ურმით და ვერც ცხენით ვერავინა ჰბედავდა იმათ მიშველებას. გაონავრებული წყალი ტალღების ცემით გრიალებდა და ყველას შიშის ზარსა სცემდა. შემდეგ-კი, პოლიციის განკარგულებით, შევიდა რამდენიმე ურემი და რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანეს გორში რამდენიმე სახლობა, რომელთათვის დიდი ზარალი მიუყენებია ამ წყალ-დიდობას. აქაური საქალებო პროგიმნაზია შუა წყალშია მომწყვდეული, რის გამოც სწავლა შეჩერდა.

⁂ რუსეთის ფოსტა არც დღეს მოსულა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძლიერისა და ხშირის წვიმების გამო საქართველოს სამხედრო გზა ძალიან გაფუჭებულა. გაზეთ „Тиф. Лис.“-ს აცნობებენ დუშეთით მცხეთიდგან, ფასანაურიდგან, გუდაურიდგან, კობიდგან და დუშეთიდგან, რომ წვიმას ალაგ-ალაგ ხიდები გაუფუჭებია, გზაზე ზვავი ჩამოწოლილა გუდაურისა და კობს შუა—მიწისა და ფასანაურსა და მლეთს შუა—თოვლისა. მცხეთაში რკინის გზის ხიდი და ფოსტისა ორივე დაზიანებულა.

⁂ პეტერბურგიდგან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“, რომ წელს განზრახვა აქვსთ იდღესასწაულონ პროფესორის დ. ი. ჩუბინაშვილის ორმოც-და-ათის წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილეი, და ამის გამო ბ-ნი ჩუბინაშვილი შემოდგომაზე აპირებს სიაშიკავკა ჩამოსვლას.

⁂ 22 მაისს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ჯარის-კაცს ალექსი ნოვოსადოვის სახლის კლიტე გასტეხა და გაიტანა 15 მანათიანი პალტო გორის მცხოვრებელმა მ. ჩ. პალტო პატრონს დაუბრუნდა, ხოლო დამნაშავე გარდაეცა გამომძიებელს.

⁂ 23 მაისს ფოსტის მოხელე ალექსანდრე ულანცევი ინტენდანტსტვოს გამგეობასთან მივიდა ცხენით წერილის მისატანად. ცხენი ხეზე მიაბა და თითონ-კი ინტენდანტსტვოში შევიდა. ამ დროს გამოიარა ტფილისის მცხოვრებელმა ვ. ლ., შემოახტა ცხენს და გაჰქუსლა, ხოლო პოლიციელმა უშაკოვმა შენიშნა, გამოეკიდა და ავლაბარში დაიჭირა. ცხენი პატრონს დაუბრუნდა, ხოლო დამნაშავე სამართალში იქმნა მიცემული.

სახელდახელოდ

ახირებული თთვეა ეს გარდობის თთვე, მაისი! დედამიწას მწვანე ხავერდი ეფინება, მზე მირს დაიწყებს ხოლმე და თბილს ქურქს მიგასკივრინებს, ვარდი წამოკოკრდება, წამოწითლდება, ფრთებს გაშლის და თავს ჩასჩრის, თითქო უნდა ზედ შემოგაფრინდესო, სურნელება გიკმობს და მორცხვობს კიდეც, ჭვრთხის, ნაზობსო. ბუნება დაუბოლოვებელის და დაუსრულებელის ჩურჩურ-კურკურით სავსეა, თითქო გამოგზაფხულებასთან ერთად ადამიანს და არა-ადამიანს გულში ნაგუბარი დარდი, ჩასკვნული ნაღველი, მწუხარება და სევდა გამოფხიზლებას დედამიწისას უნდა გაუზიაროს და შველა სთხოვოსო. აქ დაჭკნესის ბულბული; იქ პრასა გადასრილა ნიასურისაკენ, შეჭკონებია და საიდუმლოს გადასცემს; თავ დახრილს ვარდს სიო ფურცლებს უჩხვეს, თითქო სიყვარულის აღსარებას ათქმევინებსო; სადღაც მურა შეხვეულა, შემორბილდა, არც თავი უჩანს, არც ყურები, სიცხისაგან ოფლიდა და ქანც გამოცლილს თვალები ელულება და კუდს-კი მაინც აქიცინებს, თითქოს ბუნების ფერხულს არ უნდა ჩამორჩესო; ე პაწია ჭიანჭველაც-კი, თუ ზამთრის საზრდოს ძებნის დროს შეხვდა თავის მეგვარ-ტომეს, შესდგება, თვალს გაუსწორებს, თავს აქეთ-იქით გადუხრის, იქნება ასე რამდენსამე წამს, თითქოს რაღაცა უთხრა, რაღაცა გაიგონაო, და გაუდგება თავისს გზას.

ამ დროს მზეხათუნმა ამოიღო ფუთიდან აპრიალებული მაღალ ქუსლებიანი პოლსაპოჟკები, ჩააცვა ნათელას და უთხრა: გაიარე, გენაცვალე, ხომ არ გიჭერს?..

ნათელა კიდევ უფრო მაღალი გამოჩნდა. ის სიხარულისგან ილიმებოდა.

— ახლა ეს კურტკაც ჩაიცვი. ეგენი ბიძაშენმა მოგიტანა, გენაცვალე, ქუთაისიდან.

ასმათი სულ აჭყლოპინდა.—შენ შემოგევლოს მამიდაშენი, როგორ კარგათ გიხდება ყოველფერი?..

ამ საზოგადო მხიარულებაში ილიკოც დიდს მონაწილეობას იღებდა, თუმცა ძალიან ცდილობდა, სიამოვნება სახეზე არ დაემჩნია. მზეხათუნმა შეატყო, თუ რა ვერცხლის წყალი დაკრთოდა ილიკოს სახეს, და თვითონაც სიხარული გააორკეცა.

ნათელას აწ კიდევ უფრო მოუნდა ტოლ-ამხანაგში გაფრიალება და ჩასჩურჩულებდა მამიდას წირვაზე გამიშვიო.

— გაუშვი, ჩემო მულო,—სთხოვა მზეხათუნმა:—ჩემ ცხენზე შევსვათ და ილიკო ვაახლოთ.

— დიდი სიამოვნებით,—დაატანა ილიკომ.

ნათელა აიბუზა, მოხვია მამიდას კისერზე ხელები და ჩასჩურჩულა:

— არ მინდა იმასთან წასვლა.

მზეხათუნი მიუხდა: «რატომ არ გინდა, გენაცვალე? ილიკო შენი ძმა არის, რისი გეკრძალება? საყდარზე უფრო მალე მიხვალთ. ფეხით რომ წახვიდე, ველარც-კი მიუსწრებ წირვას“.

ამ უკანასკნელმა საბუთმა ნათელას უარობას ლოჯი მოსტეხა. იმ წუთას ის თუნდ კაცის მჭამელსაც გაჰყვებოდა, ოღონდ წირვაზე მიესწრო და ტოლ-ამხანაგებში თავი მოეწონებინა.

ასმათმა რომ დაინახა ნათელა ცხენზე შემჯდარი და იმის გვერდით ახალგაზდა ვაჟი, სიხარულისაგან ტაშის ცემა მორთო: „როგორ მოუხდა ცხენზე ჯდომა, სულ გასათხოვარს ქალს დაემგზავსა“. მერე გულში გაივლო: „ქართლს უნდა ვაფრინო კაცი, ბარემც საქმე გაათავონო“. ასმათი რომ ამ ოცნებაში იყო გართული, მზეხას ფიქრები ნათელას შესახებ სულ სხვა ნიავს მიჰქონდა. იმას თვალ-წინ გაუცოცხლდა ილიკოსა და ნათელას ცოლ-ქმრობა.

XII

ერთი თვე გავიდა. რძალ-მული და წაკიდებული და ძმა ძალიან დამეგობრდენ. ორ დღესაც არ გაუშვებდენ, რომ ერთმანეთის ამბავი არ ეკითხათ, ან ერთმანეთისას არ ყოფილიყვნენ. ასმათს მართლაც დაუბრუნეს ძირულას გაღმა რომ ყანა იყო. თვითონ როსაფი ხშირად ჰკითხავდა ხოლმე რჩევას თავის დას საპეკუნო საქმეებზე. ერთი, ორი საპეკუნო გლეხები, თვით ასმათის მეზობლათ რომელიც ესახლენ, მას მიუჩინა. „რადგან ნათელა შენთან არისო, უთხრა როსაფმა: სჯობია ის გლეხები შენ დაიჭირო ხელში და როგორც გინდა, ისე მოიხმარეო. ამისთანა მოქმედების გამო ასმათმა გული დაანდო როსაფსა. ნათელაც ძალიან დაუმეგობრდა როსაფის ქალს, რომელიც მისი ხნის იყო. როცა ასმათი და ნათელა როსაფისას გადვიდოდენ ხოლმე, ყმაწვილები სულ ერთად იყვნენ, ერთად სწავლობდენ, ერთად ქსოვდენ, ერთად კერავდენ და მეზობლებშიაც ერთად დაიარებოდენ. მზეხათუნი მუდამ თვალებში შესცქეროდა ნათელას და მის სიტყვას მიწაზე არ დააგდებდა. ეს მეოთხე წვევა იყო ასმათისა და ნათელასი როსაფისას. მზეხამ ახალი საკაბე დაუჭრა ნათელას და თან დაატანა: „ეს საკაბე ნათელამ და ჩემმა ქალმა ერთად უნდა გააწყონო“. ნათელას ძალიან მოეწონა ხალისი ფერი კაბისა და საკუთარი ხელით თავის კაბის შეკერვა მეტად იამა, რადგან პირველი შემთხვევა იყო.

— მაგდენს ხანს სად მოვიცდით?—დაატანა ასმათმა. ამ საღამოს ისევ შინ უნდა დავბრუნდეთ, ხომ ნათელა?..

— მე კაბის შეკერვა მინდა,—უპასუხა ნათელამ.

— მე რომ წავალ, მერე შენ უჩემოთ დარჩები აქ?..

— ბერა, რა იქნება მერე, ორი დღე რომ თავის ბიძისას დარჩეს? კაბას შეიკერავს და მერე მე თვითონ ჩამოგიყვან.

ასმათს, ცოტა არ იყოს, გულზე ეკლათ ეჩხვლიტა ეს ამბავი. იმას არ იამა, რომ ნათელა შინისკენ აღარ იწევდა.

— შენმა სიცოცხლემ, ასმათო, ისე მოვუვლი, აი, იმ ჩემს შვილზე უკეთ. თვალ-წინ არ მოვიცილებ; ღამით ჩემთან დავაწვენ. ფიქრი ნუ გაქვს ნათელასი, ისე გეკულებოდეს, როგორც შენ თავთან.

— ნათელა, არ წამოხვალ?—განუმეორა ასმათმა. ამ დროს თვითონ როსაფის ქალი გადაეხვია ქრივს: „ჩემო მამიდა, დაანარჩინე ნათელა ორი, სამი დღე ჩვენთან; ერთად ვისწავლით ჭრა და კერვას. ამ ახალ კაბას გამოვაწყობთ და მერე ერთად გეწვევით.

— კარგი, გენაცვალე, იყოს. მერე მოეხვია ნათელას და დაუწყო გამოგებული კოცნა, თითქოს საუკუნოთ ეთხოვებოდა. თვალებში ცრემლი მოერია და ერთი კურცხალი ნათელას ლოყაზედაც დაადინა. ძმისწულიც თანაბრათ ჰკოცნიდა მამიდას და თან ანუგეშებდა:

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მალე წამოვალ.

ასმათი წავიდა შინ მარტოდ-მარტო, მაგრამ ნათელას ჯავრი მაინც გულში ნაღვლათ ჩაიყოლა. გზაზე რაღაც გამოურკვეველი ზაფრა დააწვა გულზე.

— ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი გაჩენის დღე, წამოიძახა ბოლოს ასმათმა, როცა თავის ეზოში შემოდგა ფეხი: არაფერი მკვიდრი ამ სოფლათ არ არის. ვინ იცის, იქნება, ნათელას აწ სულაც დავავიწყდე. ჩიტის ბახალაც ასეა. ფრთებს რომ შეისხამს, ბუდიდამ გადაფრინდება და მწვანე ტყეში შეიმალება. მერე ბუდისკენ პირს ველარ აქცევინებ.

XIII

ასმათმა ნათელა რამდენჯერმე მოიკითხა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზები მოუძებნეს; ყმაწვილი არ გამოუგზავნეს. ერთს საღამოს ასმათი საჯალაბო სახლში კერას მიჯიცკებოდა და მოწყენილი იყო. ამ დროს ერთმა ოთარის ამხანაგმა აზნაურმა ფეხი შემოდგა საჯალაბო სახლში. ასმათს ძალიან იამა მისი დანახვა.

— უი, შენ გაგახარა ღმერთმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა ჟამს საერთო ფერხულისას, საერთო მხიარულებისა და დღესასწაულისას ადამიანს იმის მეტი აღარა დარჩენია რა, რომ თავი მოიმუთაქოს, მარდები მოასვენოს, მოუშვას ყოველივე სახსარი და თვალი მიაჩეროს ღრუბელთა სრბოლას ცის გუმბათზე. განსაკუთრებით ყოველთვის მოუსვენარს ადამიანს ბუნდი ეხვევა, გარინდებულია, ყველაფერზედ გული უცრუვდება, აღარც ქვეყანა, აღარც სიკვდილ-სიცოცხლე, აღარც მტრის მტრობა და მოყვრის მოყვრობა, — აღარაფერი, აღარაფერი აღარ აფიქრებს, არ აუსვენარებს, გულს არ უძგერს და ფიქრს არ უშლის. რომ შეეძლოს, სულ ასე გარინდებული იქნებოდა, მუთაქაზედ მისვენებული, რომელსაც არცა გძინავს და არც ჰფხიზლობ, ორჭოფად ხარ, ტვინი არ გიმუშავებს, არც ფიქრი გაქვს, არც სურვილი, წადილი, თითქოს თავში ვიღასაც კეტი დაუკრავს და გამოურეტიანებიხარო.

**

მაგრამ ვინ დაგაყენა! გამოგივარდება საიდგანღაც საჭიროება, გკრავს მუჯლუგუნს და აბრუნებს ტვინისა და ხორცის ჩარხებს. შეუდგები ზლაზვნით, ზარმაცად, მტკრევით, ზმორებით და მთქნარებით ჩვეულებრივს წალმა-უკუღმა ტრიალს დღის საზრდოს მოსაპოვებლად. საკვირველი ის არის, რომ თითქო განგებაო, სწორედ ამ გარდობის თავში გამოტყვრება ხოლმე ათასი რაგინდარა და სულ კიტრივით გაპრიწიალებს: ახალი პიესა — ციმბირელი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება, კიდევ თავად-აზნაურთა კრება, კიდევ კრება, ხოსროვის პროცესი, პროცესი შანშიევისა; კიდევ პროცესი ყარამანი, ოჭყალიჯაძო, გარდანქშან-აიარი, ბალეტი, ფეერია, ლატარია, მასკარადი... ღვთის რისხვა, დარდუბალა და ჯაჭრუ-დოზანა!.. მოდი-და მოისვენე!

მარტო ამ თავად-აზნაურების კრებაზე დასწრება კმარა, რომ რინდი და ლურსი ცხრა მთას იქით გადაგესვეწოს, ფიქრები აგეშალოს, წარსული აწმყოს შეადარო და ამ შედარებამ მერმისში გაგასისწვრივებინოს თვალი. შეხედავ თავად აზნაურთა და ტვინში ყოველ მხრივ ის აზრი გერჭობა ლურსმანივით, რომ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

აგერ, შეხედეთ, სოლციანი, ჩასუქებული თავადიშვილი წამოტაბაკებულა სკამ-ლოგინზე, ნამეტნავის ქონისაგან თვალები ებრიცება, რულშია და ხან მარჯვენა ხელით გაიქნევს ცხვირზე შესკუპებულს ბუზსა და ხან მარცხენათი, ჩაჭყევინთავს თავსა, დრო-გამოშვებით უაზროდ მიატარ-მოატარებს თვალებს და ისევ ჩაჭყევინთავს. ჭხედავ, რომ ეს კაცი წარსულს ეკუთვნის, სადღეისო აღარაფერი ნიშან-წყალი არ ეტყობა და გიკვირს, — ვინ დაიდო კისრად ცოდვა, ვინ შეურყია და შეუშალა მშვიდობიანობა, ვინ და ან რამ დატოვებინა თბილი ადგილი ამ მეგლს წარსულისასაო. ამ ღვთის სახით შექმნილს არსებას თავისნი დღენი მოუჭამია და თუ სცოცხლობს, სცოცხლობს იმიტომ-რომ ჯერ ღმერთს არ მიუწოდებია თავისთან საუკუნო სასუფეველში და, ამ დრომდე ზერექვეროაბაშია. რომ ჰკითხოთ, აქ რა გინდაო, გიპასუხებთ: ღმერთმა გამაჩინა და უნდა ვზიდო ჩემი ცოდვილი ხორცი, ვიდრე ისევ მიმიწოდებდესო.

აბა ახლა ამის შვილს დააკვირდით: ყურები გაცქვეტილი უჭირავს, შფოთავს და ჭბორგავს, წამ-და-უწუმ ფეხზე წამოვარდება, დავაშია, ლაპარაკში, სჯაში, ყველაფერს ეპოტინება, ეჭიდება, ყველაფერს გონების თვალს უსწორებს და ყელში სწვდება. ეს კაცი სცოცხლობს, და სცოცხლობს მარტო იმიტომ-კი არა, რომ ღმერთმა გააჩინა, არამედ იმიტომ-რომ ქვეყნად საქმისათვის არის მოწოდებული, იცის, რომ მოუქმედარად ყოფნა წინა-დღითი სიკვდილია და ჩქარობს, მანამ დრო და გარემოება ხელს უწყობს, რამდენადაც შეუძლიან ცხოვრების ტალღებს გაუმკლავდეს, იქ სარმა გამოჭკრას, აქ მოუზურგულოს, ან ქვეშ მოჭყვეს და ან თავზე წამოექცეს წინ შეღობებულს დაბრკოლებასა.

**

ერთი წარსულია, მეორე — აწმყო, ხოლო მადლით ცხებული წარსულშიაც იპოვება და უქმად შობილი უქმის ცხოვრებისათვის, ვინ იცის, რამდენი მოიძებნება აწმყოშიაც. დიახ, მართალს ამბობენ, რომ სულს სიბერე, დაუძლურება, დაბლუნგება, ქანცის და ოფლის გამოცლა აღლზედაც არ ეკარებაო. თუ ერთი და ერთი კაცს ადამიანობის სიო მოჰბერავს, ის იგივე მადლ და მირონ ცხებული იქნება, თუნდა წარსულს ეკუთვნოდეს და თუნდა ადამის ჟამსა.

აგერ სნეული მოხუცი სარეცელიდგან ვაებით და კვნესით წამომდგარა, ბობღვით მოსულა კრებაზედ, რომ ქვეყნის ტრიალს თვალი ადევნოს. ამ ნანგრევში ცოცხალი ადამიანის სული სადგურობს, ჭაბუკი გული სცემს, ქვეყნის ტკივილზედ არა ერთხელ ტკივილითვე აძგერებული და აჩქროლებული. ამ ადამიანურს ადამიანს ქვეყანად თითქოს არა დარჩენია-რა, მგონი ზედ შემოსილი ტანისამოსიც ვეღარ გასცვეთოს და აბა იმის ლაპარაკს ყური მიაპყარ და დარწმუნდები, რომ იმისი სული ისევ სულობს, იერიც არ შეშლია, დარწმუნდები, რომ ამ კაცს, წარსულში-კი არა, აწმყოშიაც საპატიო ადგილი აქვს. იგი იმის ზრუნვაშია, რომ მომავალს თაობას უნდა სასწავლებლები გაუმართოთ, სიღარიბე რას მაჰქვანს, შვიდ-კეცი ტყავი უნდა ავიძროთ ზურგიდგან და ამ ტკივილს-კი უნდა გავუძლეთო. ამას ამბობს ის ადამიანი, რომელსაც, შვიდ-კეცი-კი არა, ერთი კეციც აღარ შერჩენია ტანზედ. მოდი და ნუ იტყვი, რომ ადამიანური ადამიანია და სწორედ უსამართლობაა, როცა ამისთანა კაცს განსვენების დღე მოახლოვებული აქვსო.

სამაგიეროდ, რამდენია აწმყოში ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც შუბლზე წერაქვითაც აქვს გამოკვეთილი აუქმიერობა. ესეც მოუსვენრად არის, ესეც შფოთავს და ჭბორგავს, წამ-და-უწუმ წამოვარდება ხოლმე, მაგრამ იმიტომ-კი არა, ვითომ საქმისათვის გული უჩქროლავდეს და ებრძოდეს რასმე, არა, ამას მაგისთანისა არაგეითხება რა, თავი არა სტკივა. იმიტომ-რომ ჯანი ერჩის და თავისის ახალგაზრდობას გუნდრუკს უკმევს. რითი სჯობს ეს ჭაბუკი იმ მოხუცს? განა ერთი დღე ჭკვიანის კაცისა უფრო მეტად არა ჰღირს, ვიდრე მთელი სიცოცხლე სულელისა?! ზემოხსენებულს მოხუცს თუ ნანგრევს სხეულში ჭაბუკად შენახული სული უდგას, ამას ჭაბუკს სხეულში, არ ვიცით, უდგას რამე, თუ არა; იმას თუ აწმყოში საპატიო ადგილი აქვს, ეს მოკლებულია სავანეს აწმყოშიაც, წარსულშიაც და მერმისშიაც; იმ კაცის განსვენების დღე თუ გულში კაეშანს და ჭმუნვას გვგვრის, უსამართლობად მიგვაჩნია, როცა ამ ჯუქმეს უყურებ, გიკვირს: რომელმა უსამართლობამ დაჭბადა ეს არა-ადამიანური ადამიანი, რად მოევლინა, რა უნდა, რა დაუკარგავს და რას ეძებსო?!.

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი:

მადლი თან დასდევს მადლიანს,
რაზომცა დაეტარების;
არცა სიბერით წყრთომის,
არც ყრმობით მენიშნების!

ორ-ანი

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაგიგონიათ სადმე ისეთი ბედნიერი კუთხე ქვეყნისა, გინახავთ ისეთი ერი, სადაც ყველა ბედნიერი იყოს, კმაყოფილი და არ იცოდეს, რა არის სულიერი ტანჯვა, წამება? არ გაგეგონებათ და თუ არ გაგიგონიათ, ახლა გაიგონეთ, რომ ასეთი ბედნიერი ქვეყანა არის ჩინეთი. მართალია ესა, თუ არა, ჩვენ არ ვიცით და ასე-კი ამბობენ ისინი, ვისაც უნახავს ეს ქვეყანა, დაუვლია გარდი-გარდმო და დაჰკვირვებია იქაურს ცხოვრებას. ეს ქვეყანა ძლიერია, ამბობენ მისი მცოდნენი, — ერი მისი მრავლისაგან მრავალი და ეს ქვეყანა და ეს ერი ხელში ჩაიგდებს ბოლოს მთელს ხმელეთს, მთელის დედამიწის ზურგსაო.

ჩინეთიო, — ამბობს ერთი რუსის მწერალი: — ქვითკირივით მტკიცე და მაგარი სახელმწიფოა და ამ მხრივ იმისი მგზავსი დედამიწის ზურგზე სხვა არ მოიპოვება. იმ დროს, როცა ევროპაში იმდენი არეულობა და ვაი-ვაგლახია, იმდენი ბრძოლა და მტრობაა ერთა შორის, ჩინეთი დამშვიდებულია უზარმაზარის ზღვასავით, დაწყნარებულია და ოთხასი მილიონი ხალხი თავისათვის სცხოვრობს აღუშფოთველად. არც რეფორმატორებია იქა, არც ურწმუნონი და უკმაყოფილონი არიან. ბედნიერებაა, მაშ რა არის, როცა ქვეყანას ასეთის სანეტარო დამშვიდებისა და დაწყნარებისათვის მიუღწევია.

რითია ახლა ასე ძლიერი და აღუშფოთველი ეს უდიდესი სახელმწიფო? იმითი, რომ სწამს მეხუთე მცნება მოსესი და თავის წინასწარმეტყველისა და მოძღვრისა, ბრძენის კონფუციუსი: «პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა», ანუ სწამს სიტყვები მეორე თავის წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს: „ქვეყნიერობა დამყარებულია სახელმწიფოზე, სახელმწიფო — ოჯახობაზე და ოჯახობა — თითოეულს ადამიანზეო“.

ესევე სწამს მთელს ქვეყნიერობას, მაგრამ არსად ეს რწმენა ისე მტკიცე არ არის, ისე ცხოველ-მყოფელი და ისე არ შეთანხმებია თვით ცხოვრებას და იმის სინამდვილეს.

მცნება და მოძღვრება შეიძლება მაღალიც იყოს და ფრიად მშვენიერიც, მაგრამ სარგებლობა-კი მისგან არა გამოვა-რა, თუ ცხოვრება სრულიად ეწინაალმდეგება და ეპირისპირება ამ მოძღვრებას, ამ მაღალს მცნებას.

ქრისტიანობის მოძღვრება ხომ მაღალია, მაგრამ ეს მოძღვრება და ცხოვრება ძალიან შორი-შორსა სდგანანო, ამბობს იგივე მწერალი და ასე განაგრძობს:

ევროპიელებს სწამთ ქრისტიანობა, მაგრამ აქედამ კიდევ ვერ დავასკვნით, რომ ქრისტიანობა ხელმძღვანელი ლამპარი იყოს თითოეულის კაცისა და უფროს-ერთისათვის. ყველამ იცის, რა ნაირად შემცირდა ევროპაში ცხოველი სარწმუნოება, რა ნაირად დაბნელდა იმისი ნამდვილი შინაარსი და რა ნაირად დაიჭირა იმისი ადგილი გარეგანმა, თვალის ასახვევად შემოღებულმა საქრისტიანო წესმა და წყობილებამ. ჩინელთა სარწმუნოება-კი, დამყარებული წინაპართა, მამა-პაპათა პატივის-ცემაზე, ყველასთვის სავალდებულოა, სანუკარი, ეჭვ-გარეშე მყოფი და უეჭველი. არავინ არ იჭვნეულობს იმის შესახებ, არავინ არ ებრძვის. პირიქით, ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

ჩინელები-კი არა ფილოსოფოსებენ, ცხოვრებას უყურებენ და ასე ჰგონებენ, რომ სიცოცხლის საგანი კეთილ-

---

როგორც მე შენი მოსვლა მიამა. რასა იქ, საიდან მოდიხარ?.. რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ჩემს ნიადაგზე აღარ გაიჭაჭანეთ, მოგძულდით განა ქვრივ-ოხერი?

— ღმერთს ნუ შეძულდი, ასმათ, შენ ჩვენ არ გვძულდე. მაგრამ ხომ იცი, ჩვენი გვარის კაცის ამბავი. ხან აქეთ კლდეს უნდა ვეცეთ, ხან იქით, რომ მშიერ მგლებსავით რასმე წავაწყდეთ. შინ რა შავი ქვა ვაკეთოთ? აქ არც არა გვეცხელდება-რა, არც არა გვეციედება რა. ის დაჯდა სკამზე არხეინათ და ჰკითხა ასმათს.

— ახალი ამბავი არა გაგიგონია-რა?

— როგორ, რაო? — შეუტევა ასმათმა: — მე რას გავიგონებდი, მუდამ შინ ვგდივარ. უნათლოთ თავი მკვდარი მგონია. ვუთველი და არ მიგზავნიან. მინდა ხვალ წავიდე და წამოვიყვანო.

— გვიანღაა, შენ იმას აღარავინ დაგანებებს.

— როგორ თუ არავინ დამანებებს?..

— ათხოვებენ.

— უი ჩემს თავს?..

— უი არა მაქვს მე... დღეს სწორს აქეთ ხადილი. ასმათმა ერთი ასეთი იტკვლიცა, რომ გეგონებოდა, ყბა მოექცაო.

— ვის აძლევენ?

— მზეხას ძმისწულს, ილიკოს.

— ის დღე რატომ ბნელათ არ მექცა, ჩემი ნათელა რომ მე იმას საყდარზე გავატანე. თურმე ამის გულისთვის გამეგენ ფეხ ქვეშ ის არა-წმინდები!.. არიქა, დედა-შვილობას, ახლავე გაფრინდი, ჩემი ოთარი მომგვარე. აწ მე ვიცი, რაცაც ვიზამ.

ასმათი გალომდა, მისი თვალები ბუდიდგან ამოვარდნას აპირობდენ. ის აზნაური მაშინვე გამოვარდა გარეთ და გაიქცა ოთარის მოსაყვანათ.

— როსათის წინ უნდა დავიკლა დანით ჩემი თავი. უმალ ამ ჩემი სისხლით შევღებავ მის წვერებს, სანამდის ის ნათელას გამითხოვებდეს! — ქადაგობდა ასმათი თავისთვის. იმან ოდასა და საჯალაბო სახლს შუა დაიწყო რბენა... ძუ ლომს რომ ლეკვს მოპარვენ, იმასაც ასე სჭირს აქეთ-იქით რბენა და უმიზნოთ ხტომა, თითქოს სურდეს მტაცებელს კვალში ჩაუდგესო. თუ მტერი შეხვდა ამ დროს იმას წინ, ყოველსავე დაფრეწს.

გამდელი საჩეხში საქონელს უვლიდა. ის რომ საჯალაბო სახლში შემოვიდა, ასმათი კერას გარემო დათარეშობდა. გამდელს ძალიან გაუკვირდა მისი აღელვებული ბრტყიალი.

— ქალბატონო, რა ამბავია, ცუდი ხომ არა შეგიტყვიათ-რა? ასმათი შედგა და მსხვილი თვალები დააშტერა მოხუცებულს, ასე ეგონებოდა კაცს, ნახტომში უნდა ქმნას და დაფრიწოსო.

— ქალბატონო, დამშვიდდით. ეგ რა ამბავია? — კრძალვით განუმეორა გამდელმა.

— რა დროს დამშვიდებაა, დანა რომ გულზე დამცე, წვეთი სისხლი არ გამომივა.

— ბარემც ბძანეთ, ქალბატონო, თორემ შიშისაგან ლამის გადვირიო?

— რაღა რა ამბავია, ჩემი ნათელა მომტაცეს!

— ნათელა აკი როსათთან იყო, ვინ მოიტაცებდა?

— ათხოვებენ...

— ვის აძლევენ?

— ილიკოს, ჩემის რძლის ძმისწულს!

— ისემც კარგი დაგემართოს, კარგი ახალგაზდა ის იყოს...

— ჩუმათ, ბებრუცანა! თავი ხომ არ მოგძულებია?..

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი წარმოსთქვა ასმათმა, რომ გამდელს შიშისაგან ენა ჩაუვარდა; მაგრამ გულში მაინც ასე ფიქრობდა:

— რამ გადარია ეს ჩემი ქალბატონიო? იმისთანა ბიჭს, ახალგაზდას, მდიდარს, კარგს ოჯახის შვილს სხვას ვის იშოვნისო ნათელასთვინ?..

ჩამოვარდა სიჩუმე... ამ დროს ოთარი შემოვიდა, თან შემოყვა ამხანაგიცა. ასმათი მივარდა ოთარს: „მოდი, ჩემო შვილზე უტკბესო შვილო! შენ იყავი და შენ იქნები ყოველთვის ჩემი გაჭირების ტალკვესიო“. ოთარი სრულებით არ ფიქრობდა ასე სიამით შეხვედრას! ის, მართალია, მოდიოდა ასმათის სანახავათ, მაგრამ ცოტა არ იყოს კიდეც შიშობდა: რა ვუთხრა, რა პასუხი მივცე, როგორ ვიმართლო თავიო?... იმ ღამეს რომ შემოწყრა, მას აქეთ დედობილი საუკუნოთ დაკარგული ეგონა. ასმათის ალერსიანმა სიტყვებმა ერთბაშათ მოხსნა ოთარს ზურგიდგან მძიმე ტვირთი.

— წამოდით ჩემთან ოდაში, — წაუძღვა წინ ასმათი.

დღე და ღამე იყრებოდა. ვარსკვლავები ცაზე დაენთენ. თექვსმეტის წლის ქალწული ვერ აირბენდა ისე სწრაფათ, ასმათმა რომ კიბის საფეხურები შეიარა. ის დადგა აივანზე ორთავეს წინ.

— ოთარ, შენზეა დღეს ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული. დროს ნუღარ კარგავთ. შენ ჩემი საჯდომი ცხენი შეიკმაზე, შენ — მიუბრუნდა აზნაურს, — მეორე ცხენი. დილით უთენიათ მოჰკურცხლეთ ქართლისაკენ, მიიჭერით თანდილიაანთსა და უთხარით: თუ შაფათს საღამოს არ მოსულხართ და ქალი არ მოგიტაცნიათ, კვირა დილას ქალს გაათხოვებენ-თქო. შაფათს ვახშმობისას ძირულის პირას უნდა იყოთ. იქიდან უნდა დაადგეთ გზას, ნელ-ნელა შემოუდგეთ შემოდმართს ძირულის ქედებზე. მეც ჩემი ნათელათი იმ დროს იმ გზითვე წამოვალთ და დავეშვებით დაღმართზე. ქალს ხელში მოვცემ და წაიყვანონ. მაგრამ წინ-და-წინ პარასკევს დილას ეს ჩემთან უნდა მოიჰრეს, — უჩვენა აზნაურზე: — ამან უნდა შემატყობინოს, მოდიან თუ არა?... დანარჩენი მე ვიცი. აბა, წადით ახლა შინ დამმლის ყიულზე გამოეწყვეთ.

იმ ღამეს ასმათს არ უძინია. მეორე დღეს ჩავარდა საწოლში და პარასკევამდის ლოგინი აღარ აუღია. ასმათი თავს იტკენდა მეტის-მეტად. გამდელი ქალბატონს აღარ მოცილებია. ის მალ-მალ ჩაჰკითხავდა, ან რა წამალი მოუხდებოდა, ან რა იამებოდა. მაგრამ ქვრივი კრინტს არ იღებდა. მხოლოდ ხან-და-ხან ეტყოდა ჭარხლის ფოთლების მოტანას, თავის ტკივილს შველისო. ამ სამს დღეში მას სამი ლუკმა პირში არ ჩაუდევს. გათენდა პარასკევი. წირვის დრომდის აზნაურიც გაჩნდა. ასმათს გულზე ელხინა. მაშინვე წამოდგა ლოგინიდან და გამდელს უბძანა, ქათამი შეგვიწვიო. აზნაური შევიდა ასმათის ოთახში მხიარული სახით. ის მაშინვე მიხვდა, საქმე კარგათ იყო. მართლაც აზნაურმა მოუტანა ამბავი: „ოთარი და თანდილაანთიანი შაფათს პირველს ძილზე ძირულის სერს ამოუდგებიანო თუთხმეტი ცხენოსნითა“. ასმათს მეტი არა უნდოდა-რა, სახეზე გამხიარულდა. ისინი ერთად დანაყრდენ, ღვინოც კარგათ დალიეს. ასმათს გულზე მოეშვა, ჯანზე მოვიდა. ნახევარ საათს შემდეგ ცხენზე იჯდა და როსათისას მიემგზავრებოდა. აზნაურიც თან იახლა.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

დღეობაა კაცისაო; ხოლო ამ კეთილდღეობას მაშინ მიაღწევს, როცა თავმოყვარულობაზე ხელს აიღებს და ყველას პატივის-ცემით მოექცევა. ჯერ უნდა დედ-მამა შეიყვაროს კაცმა და რაკი ამ სიყვარულს ღრმად დაინერგავს გულში, მერე საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს კიდეც სხვის სიყვარულსაცაო. აი ეს ერის საზნეობო ფილოსოფია ჩინელებისა. ამ ფილოსოფიამ გაიდგა ფესვი ერში და საუკუნოების განმავლობაში ისე დამკვიდრდა, რომ ადვილად შესასრულებელი შეიქმნა.

ჩინელს კაცს ყოველივე გადაწყვეტილი აქვს ცხოვრებაში და თავ-სამტვრევი საგანი აღარა დარჩენია-რა. იმის აზრით, ძალიან ადვილად მოსათავსებელია ერთმანეთთან თვით-პყრობელობა, გარე-უწერელი ხელმწიფება ბოღდი-ხანისა და თავისუფლება თითოეულის ადამიანისა. ჩინელი ეროვნებას ვერ წარმოიდგენს უსახელმწიფოდ, ხოლო სახელმწიფოს უხელმწიფოდ. მაგრამ ამასთანავე ჩინელს თავისი თავი სრულიად თავისუფალს კაცად მიაჩნია, ბატონად ჰგონია. ეს არის მიზეზი, რომ ჩინეთის მთავრობა თავს არ იწუხებს და თვალ-ყურს არ ადევნებს თითოეულს ქვეშევრდომს. ჩინეთის ქალაქებში თითო-ოროლა მოხელე სცუპია, მაგრამ ჩხუბს-კი მაინც ვერ ჰნახავთ, ძალადობას ვერ შეეყრებით. ეს არის მიზეზი, რომ ჩინეთში სასამართლოში სიარული ჭირივით ეჯავრებათ. სასამართლოში გასარჩევი საქმე მხოლოდ თითო-ოროლაა, სახელმწიფო გამგეობის წესი ფრიად მარტივია და დამნაშავეთა დასჯა-კი საშინელი და შეუბრალებელია.

ჩინელებს არც ფარისევლობა ესაყვედურებათ და არც ორ-პირობა, რაიცა შედეგია იმისა, როცა სიტყვით სხვას ამბობს კაცი და საქმით-კი სხვას საქმობს, როცა ერთი სწამს და ცხოვრებაში-კი სხვაფრივ იქცევა. ჩინელი გულჩვილი არ არის და არც იდეალებს მისდევს. ხვალინდელს ქათამს დღევანდელს კვერცხს ამჯობინებს და იმაზე უკეთესი ბედი, რაც ხელთ აქვს, არც უნდა და არც ენატრება.

რა მოუვა შემდეგ ჩინეთს, როცა ევროპა დაუპირისპირდება და დაუახლოვდება! დაუთმობს ალაგს ევროპის განათლებას, თუ თავისას არ დაიშლის? ზემოხსენებული მწერალი ამბობს, რომ

ჩინეთი არას დაუთმობს ევროპასა და ევროპა ვერც გადააკეთებს თავისებურად ჩინეთს. ან-კი რა ისწავლოს, რა მიიღოს მისგან ან პოლიტიკასა, ან სარწმუნოებასა და ან ზნეობაში? მისაღები და სასწავლებელი ამ მხრივ არა აქვს-რა. ჩინელს კიდევაც ეჯავრება ევროპიელი, როგორც ორ-პირი, მტკიცე რწმენის არ-მქონებელი, სიტყვით სწორე და საქმით კუზა. ჩინელს იმიტომ ეჯავრება ევროპიელი, რომ ეშინიან იმისი და ჰფიქრობს, იმისმა ტლანქმა, კაცთა მოძულე ხელმა სიცოცხლე არ მოუსპოს ჩვენს შეურყეველსა, მტკიცესა და დამშვიდებულს არსებობასაო.

ჩინელს ევროპიელის სიბრძნე არ მოსწონს და თავისას ბევრად ამჯობინებს. ჩვენ რასაც ვამბობთ, იმას ვაკეთებთ, რაცა გვწამს, იმით ვსცხოვრობთო. ამიტომ ჩინელი დარწმუნებულია, რომ ევროპას კარი არ უნდა გაეღოს ჩინეთში და ჩინეთი არას გზით არ უნდა გაევროპიელდეს. ქრისტიანობამ სრულიად ვერ მოიკიდა ფესვი და სულიერად ვერას დროს ვერც გადაასხვაფერებს ვერავინ ჩინეთის ერსაო.

სრულიად სხვაა გარეგანი ზედმოქმედება ევროპიულის განათლებისა. ჩინელი როგორც პრაქტიკულის ჭკუის კაცი ევროპის განათლებაში იმას-კი არ ეჭიდება, რაც საფილოსოფიო და საზნეობოა, არამედ რაც ცხოვრებაში გამოსაყენებელია ევროპიელების სატეხნიკო, სამრეწველო ცოდნას ჩინელები დიდის სიამოვნებით ეტანებიან.

ამ ჟამად ჩინეთში მრავალი სატეხნიკო სკოლებია, ევროპიულად გამართული, ამ გვარივე ქარხნები, გემები ცეცხლისა, რკინის გზები და სხვა ამ გვარნი; ასე გასინჯეთ, ჯავშნიან გემებისაგან შემდგარი ფლოტი-ც-კი აქვთ და ჰყავთ ევროპიულად შეთოფ-იარაღებული და დარაზმული მხედრობა, ისე რომ მალე ჩინეთი ძლიერ და უძლეველ სახელმწიფოდ გადაიქცევა.

ერთის სიტყვით, თუ ასე წავიდა ჩინეთის საქმე და თუ მართალს ამბობენ ჩინმეტყველნი და ჩინეთის მცოდნენი, საშინელება რამ შეიქმნება ჩინეთი რამდენისამე ასისა და ორასის წლის შემდეგ. მთელი ქვეყნიერობა შეირყევა ამ ქიშაზე უმრავლესის ერის წინაშე, რომელიც მეტად მახვილისა და მახვედრილის ჭკუისა, მეტად ვამრჯელი და შრომის მოყვარეა, ხელოვანი და მარჯვე, შეუბრალებელი და დაუნდობელი ყველაფრისა, რაც-კი ჩინური არ არის, და თავ-ზარ დამცემი თავის ერთიანობით, თავის შინაგანის სიმტკიცით.

◆

დეპეშა

24 მაისი

პეტერბურგი. „Гражданинъ"-ი იუწყება, რომ ებრაელთა შესახებ შემდგარ კომისიისაგან შემუშავებული პროექტი ახალის კანონ-დებულებისა მევახშეობის თაობაზე თაობაზე წარედგინა განსახილველად იუსტიციის მინისტრს და, როგორც ხმა ისმის, მალე სახელმწიფო საბჭოსაც წარედგინებაო.

პარიჟი. ბულანჟემ დაასაბუთა თავისი სარჩიელი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე და სთქვა, რომ საფრანგეთს საშინელი გაჭირება მოელის, იმიტომ-რომ რესპუბლიკა მხოლოდ ერთის დასის საკუთრება შეიქმნა და არა ყველასიო. ამ გარემოებით აიხსნება, რომ იმდენი სხვა-და-სხვა აზრის ხალხი შემომიერთდა და მომემხროვო. შემდეგ ბულანჟე ამტკიცებდა, რომ პარლამენტობამ დაჰბადა და გაზარდა ბოროტ-მოქმედების სურვილი: პარლამენტი აქრობს და სპობს კეთილს განზრახვასა, იმიტომ-რომ რამდენსამე დასად არის გაყოფილი და თითოეული დასი თავისს საკუთარს, კერძო ინტერესებს მისდევსო. შემდეგ ბულანჟემ ილაპარაკა იმ მინისტრებზე, რომელნიც სახელმწიფო ფულსა ჰხარჯვენ და ისე ჰპოულობენ მომხრეებს მეკენჭეთა შორისაო. თავ-მჯდომარემ სთხოვა ბულანჟეს, უკან წაიღეთ თქვენი სიტყვებიო, მაგრამ ბულანჟემ სთქვა, რომ მე განზრახვა არა მაქვს ჩემს ამხანაგებს ვაწყენინო ამითიო (ხმაურობა გაძლიერდა). ბულანჟემ იკითხა: საჭიროა პრეზიდენტი რესპუბლიკისაო? და სთქვა, რომ, ჩემის აზრით, საფრანგეთი ძალიან კარგად წავა იოლად უპრეზიდენტოდაცაო (ხმაურობა უფრო გაძლიერდა). თავმჯდომარემ მოაგონა ბულანჟეს, რომ დროა თავი დაანებოთ გინებას და ავად ნურავის ნუ იხსენიებთო და დაუმატა: ჩვენ კანონიერი მთავრობა გვყავს და გვაქვს აგრეთვე წესდებაო. ბულანჟემ სთქვა: „გადახალისებული საფრანგეთი, რომელიც გაბედულად და მხნედ ჰმოქმედებს სხვა სახელმწიფოთა შორის და რომელიც დამყარებულია ძლიერ ჯარზედ, ეს საფრანგეთი ყველაზე უკეთ დაიცავს ევროპის მშვიდობიანობას, ხოლო ეხლანდელი პარლამენტი ისეთ წეს-წყობილებას ვერ ანიჭებს ქვეყანას; ამ პარლამენტმა უნდა შეისმინოს ერის სურვილი, რომელიც იმას გასძახის, რომ უნდა დაიშალნეთ, ქვეყნის მმართვასა და გამგეობას თავი უნდა დაანებოთო. ბულანჟემ თავისის სიტყვის დასასრულს რეზოლიუცია წაიკითხა კონსტიტუციის გადასინჯვასა და პარლამენტის დათხოვნაზედ. პალატამ 377 ხმის უმეტესობით წინაადმდეგ 106-ისა უარ-ჰყო ბულანჟეს წინადადების დაუყოვნებლად განხილვის საჭიროება. ფლოკემ ბულანჟეს პასუხი გასცა და სთქვა, რომ მთავრობა უარ-ჰყოფს იმას, ვითომ კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება არ გადაიდებოდესო; ბულანჟე, აშკარადა სჩანს, იმიტომა ჩქარობს, რომ ეშინიან მუქთა-მჭამელის დიქტატორის სახელი არ დაიმახუროსო. ამ სიტყვებმა სიცილი ასტეხა და ფლოკესა და ბულანჟეს შორის უფრო გაამწვავა კამათობა. პალატამ 335 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 170-სა გარდასწყვიტა, რომ ფლოკეს სიტყვა დაიბეჭდოს და მთელს საფრანგეთში იქმნას გავრცელებულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი

	მყიდველნი. მან. კ.	გამყიდველნი. მან. კ.	გაყიდულნი. მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	9¹/₅	— „
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	182³/₄
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 39
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	273³/₄
—მეორისა	— „	— „	244³/₄
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ(1888)წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

27 დღე პარასკევი. წამება ფერაპონტისა. კათოლ. მაგდანიასი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—33. მთვარე 29 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. ეგნატესი. კათოლ. ლიუციანესი. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა რამაზანისა. 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—33 საღამოს 7 საათსა და 37 წუთზე დაბადება მთვარისა.

29 დღე კვირა. წამება თეოდოსიისა კონსტანტინეპოლში. კათოლ. ეპ. მაქსიმესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა. 1-ლი დღე ორუჯ-ბაირამისა. მეჩეთებში ნამაზი აქვსთ. სამს დღეს არის ეს დღესასწაული. მუსულმანები ამ დღეს სამეჩითო გარდასახადს იხდიან. სუნიტები ორუჯ-ბაირამს საბაოტნიკო ბაღში დღესასწაულობენ. — ჭეშმარიტი შუას დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდ. 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 2 დღისაა

30 დღე ორშაბათი. ღირსისა ისაკ დალმათელისა. კათოლ. ფერდინანდისა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 3 დღისაა.

31 დღე სამშაბათი. მოცქ. ერმისა და ღირს. ერმიასი. კათოლ. ანჟელიკასი. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

◆

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭირო არის, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, №101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათი.	მოდის წამი.	გადის საათი.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათი.	მოდის წამი.	გადის საათი.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა . .	9	9	9	11	ქობულეთი.	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები. .	9	25	9	29
ქსანი . . .	0	03	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	08	12	11	**სამტრედია**.	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი.	12	13	12	16
ხაშური . .	11	02	1	17	**რიონი**. . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი. . .	2	—	2	03	**ყვირილა**. .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	ბეჟათუბანი.	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი . .	6	29	6	44	**ხაშური** . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	05	8	07	**გორი** . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი. . . .	9	7	9	9
ნატანები. .	9	52	9	55	მცხეთა . .	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	**ტფილისი** .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	**ხაშური** . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	**გორი** . . .	5	4	5	19
გრაკალი . .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა. . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	54	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го мая 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე